287 / 287

სპქალალდე
ПАПКА
ДЛЯ
БУМАГ

287 / 287

16.01.25

ธปท

პროფესორ

აკაკი სარდიონის ძე თოფურიას

დაბადების 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური და ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავზე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან

თბილისი 1986

პატივცემულო ბატონო აკაკი!

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთელი კოლექტივი გულითადად მოგესალმებათ და გილოცავთ თქვენ, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკების გაერთიანებული კათედრის დამაარსებელს და მის პირველ გამგეს, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის წევრს, სამამულო ომისა და შრომის ვეტერანს, დაბადების 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური და ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავს.

ქართულ ლიტერატურისმცოდნეობასა და ლიტერატურულ კრიტიკაში ნაყოფიერ მოღვაწეობასთან ერთად თქვენ დიდი შრომა, ცოდნა და ენერგია ჩააქსოვეთ ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის სისტემატური, მეცნიერული კურსის შექმნაში, ჩამოაყალიბეთ მისი ისტორიული, თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დარგის განვითარებისათვის.

თქვენი ძირითადი და დამხმარე მეთოდიკური სახელმძღვანელოები მეოთხედ საუკუნეზე მეტია ემსახურებიან სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდის, რესპუბლიკის სკოლებში ეროვნული საგნის — ქართული ლიტერატურის სწავლების კეთილშობილურ საქმეს.

პედაგოგიური კადრების აღმზრდელი, მკვლევარი და მეცნიერი აქტიურად მონაწილეობთ საზოგადოებრივ საქმიანობაში.

თქვენ ხართ ორი რესპუბლიკური პრემიის ლაურეატი, დაჯილდოებული ხართ იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედლით, სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით და საბრძოლო მედლებით.

ბატონო აკაკი, მიიღეთ ჩვენგან გულწრფელი მოლოცვა და საუკეთესო სურვილები. დაე, კვლავაც დიდხანს გემოღვაწეთ ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

რექტორი, საქართველოს სსრ
მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ.
ნ. ამაღლობელი

პარტიული კომიტეტის მდივანი,
დოცენტი
თ. ხუროძე

გაერთიანებული პროფკომის
თავმჯდომარე, დოცენტი
ბ. არუშიძე